პროლეტარებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 21 (13142) | ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

„კომუნისტის“ მკითხველებს

იმ ქარცეცხლიან დღეთა გმირები

ჩვენი დიადი ქვეყანა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავისათვის ემზადება. დიდი ხანია დამთავრდა ომი მაგრამ ის, რაც განცდილი იყო, არ წაშლილა ხალხის ხსოვნაში და არც წაიშლება. არასოდეს არ დაგვავიწყდება ისინი, ვინც ბრძოლით მოგვიპოვა გამარჯვება, თავისუფლება მოუტანა ხალხებს, მსოფლიო გაათავისუფლა მიხაკისფერი ჭირის საფრთხისაგან.

გამარჯვების დღისათვის მზადების პერიოდში საჭიროა ვრცლად მოვუთხროთ მკითხველს იმათ შესახებ, ვინც მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, ვინც ომში ვალმოხდილი ამჟამად მშვიდობიან ფრონტებზე შრომობს.

ძვირფასო მკითხველო! სამამულო ომის მონაწილეთა გმირული საქმეების შესახებ გამოგვიგზავნეთ საინტერესო მოგონებანი, საფრონტო დღიურები და წერილები, გამოუქვეყნებელი ფოტოსურათები და დოკუმენტები, ასევე უკვდავყოთ ამ გმირ ადამიანთა სახელები, ვადიდოთ ისინიც, რომლებიც გმირული ბრძოლების შემდეგ აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობიან მშენებლობაში.

იმ ქარცეცხლიან დღეთა გმირებზე წერილები იხილეთ გაზეთის მესამე გვერდზე.

საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის ბიბლიოთეკა

სწორი დაგეგმვა მეურნეობის საქმეა

ჯვრის კოლმეურნეობაში გასულ წელს არ იყო დაგეგმილი ხორბლის ჩაბარების დავალება, მაგრამ ჩააბარებინეს 142 ტონა. სავალალო ის არის, რომ ამის შედეგად კოლმეურნეობა იძულებული გახდა საშემოდგომო თესვისათვის საჭირო ხორბლის თესლი ეყიდა და 1.200 მანეთი დაეხარჯა.

ᲬᲘᲓᲘᲡ დამამთავრებელი წელი თავის უფლებებში შევიდა. დაიწყო ახალი სამეურნეო წლის შემოქმედებითი შრომა. ყველგან სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ეს წელი დამკვრელური შრომით გამოაცხადეს. ეს ბუნებრივიც არის. სოფლის მშრომელები, რომლებსაც წინსვლის, წარმატების ფართო გზა გაუხსნეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განუხრელად ზარდონ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მდიდარი იყოს სახელმწიფოს ბეღლები, დოვლათი და ამ საფუძველზე მკვეთრად ამაღლდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონე. ამ ამოცანის შესრულებაში მტად დიდია სოფლის მშრომელთა წვლილი; მაგრამ უხვი დოვლათის შექმნისათვის ბევრი აუცილებელი და გადაუდებელი საკითხია მოსაგვარებელი, გადასაწყვეტი.

ყოველი მეურნეობის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის დაგეგმილი წარმოება, რამდენად სწორად არის გათვალისწინებული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის რეზერვები, შესაძლებლობანი. ამიტომ დაგეგმვის ახალ წესს საფუძვლად დაედო სახელმწიფო ხელმძღვანელობის შეხამება კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ინიციატივის, შემოქმედებითი აქტივობის ყოველმხრივ განვითარებასთან.

ამ მხრივ დიდი პასუხსაგები სამუშაოებია განსახორციელებელი ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა აქვს. მარცვლეულის, ჩაის, უქონის, ხილის, თამბაქოს, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმების საფუძველზე სოფლის მშრომელებმა უნდა განსაზღვრონ ნათესი ფართობების ოდენობა, ყველაზე ხელსაყრელი სტრუქტურა. კონკრეტულად გეგმებში უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენი ჰექტარი და რა კულტურა დათესონ, რამდენი ვენახი, ხეხილი გააშენონ, რამდენი და როგორი ჯიშის პირუტყვი იყოლიონ ფერმებში, უფრო რაციონალურად როგორ გამოიყენონ სახნავ-სათესი ფართობები, სარწყავი მიწები და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ახლა, როცა სოფლად კოლმეურნეობების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აჯამებენ სამეურნეო წლის შედეგებს, ამავე დროს ადგენენ საწარმოო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია მიიღონ ზომები იმისათვის, რომ გეგმებში სწორად იყოს შეხამებული სახელმწიფოსა და ამა თუ იმ მეურნეობის ინტერესები. ამ საქმეში წარმატებას მაშინ მივაღწევთ, როცა გამოვიჩენთ გეგმის შედგენისადმი შემოქმედებით მიდგომას, სწორად გავითვალისწინებთ მეურნეობის რეზერვებს, შესაძლებლობებს. წარმოების დაგეგმვა მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ღონისძიებებს.

სადაც ყოველივე ამას ითვალისწინებენ, წარმატებებიც დიდი აქვთ. ამის მაგალითს გვიჩვენებენ ᲬᲘᲗᲚᲔᲚᲬᲧᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲖᲛᲝᲛ ᲛᲐᲩᲮᲐᲜᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ, ᲖᲛᲝᲛ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲛᲘᲗᲘᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲜᲐᲪᲐᲚᲔᲑᲘᲡ; ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲕᲐᲖᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲣᲮᲘᲡ და სხვა კოლმეურნეობების შუშაობის შედეგები. ამ კოლმეურნეობებში სწორი დაგეგმვის მეთოდით გაუჯობესდა მიწათმოქმედების კულტურა, ყველა დარგი რენტაბელურია და წლითიწლობით იზრდება მოსავლიანობა, მტკიცედ მკვიდრდება ამ სოფლებში ცხოვრების მაღალი კულტურული და მატერიალური დონე.

არის ფაქტები, როცა ზოგიერთი მეურნეობა დაუსაბუთებლად, თვითნებურად ამცირებს ამ ზონისათვის უმნიშვნელოვანესი კულტურების ნათეს ფართობებს. ამ ფართობებზე თესავენ უფრო ნაკლებმნიშვნელოვან კულტურებს ანუ ეს ფართობები გამოუყენებელი რჩება. მართალია, ეს მეურნეობები საერთო გეგმებს კი ასრულებენ, მაგრამ ცალკეული კულტურების მოსავლიანობის დავალებებს ვერა. ჩვენს ხელთ არის ფაქტები, როცა მეურნეობები გეგმავენ ამა თუ იმ კულტურის წარმოებას, ამ მხრივ მუშაობას იწყებენ და შემდეგ, მოგვიანებით ისევ ცვლიან შთანფიქრს. ეს ზიანს აყენებს მეურნეობას და არაფრით არ არის გამართლებული.

ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში გეგმების შედგენის დროს არ ითვალისწინებენ სახნავი მიწის მთელი ფართობის დაკავებას სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რაიონში 1964 წელს გაცდენილმა სახნავმა ფართობმა 5.624 ჰექტარი შეადგინა, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონში — 1.973 ჰექტარი, ᲧᲕᲐᲚᲗᲣᲑᲝᲡ რაიონში — 1.098 ჰექტარი, ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონში — 1.363 ჰექტარი, ᲒᲝᲒᲔᲗᲙᲝᲠᲘᲡ რაიონში კი 1.529 ჰექტარი. ბალანსის მიხედვით ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡᲘᲡ რაიონში არის 39.733 ჰექტარი სახნავი მიწა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად რატომღაც დაგეგმეს 36.639 ჰექტარი და გამოუყენებელი დარჩა 3.000 ჰექტარზე მეტი.

არაფრით არ არის გამართლებული, როცა პროდუქტების დამზადების დავალებით გადაჭარბებულად ტვირთავენ იმას, ვინც კარგად მუშაობს, და, საერთოდ, გეგმები მოწინავეთა ხარჯზე სრულდება. არასწორ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1964 წელს ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის დაწესებული გეგმა ორჯერ და უფრო მეტად გაუდიდეს. ერთი საყურადღებო ფაქტიც: ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ მჭადლებული გახდა საშემოდგომო თესვისათვის საჭირო ხორბლის თესლი ეყიდა და 1.200 მანეთი დაეხარჯა.

სწორ დაგეგმვაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება. მექანიზაცია და ქიმიზაცია მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარება მტკიცე საკვებ ბაზას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალურად გამოყენება. ამავე დროს საკვების ქიმიზაციის მეთოდი დიდ ეფექტს იძლევა. დადგენილია, რომ რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის ყოველწლიურად მზადდება ასობით ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა. აქედან დიდძალ ნარჩენებს ვიღებთ. მათი ქიმიური და ჰიდროლიზებული გზით დამუშავებით ათობით ათასი ტონა საკვები საფუარის მიღება შეიძლება. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ ამ საქმეს მეტი აუარადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი რესპუბლიკის თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ წლიურ გეგმაში ყოველი ციფრი რეალური და დასაბუთებული იყოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ ის მავნე პრაქტიკა, რომ ვინც უფრო ცუდად მუშაობს, მას ნაკლები გეგმა დაუწესდეს, ხოლო ვინც კარგად მუშაობს, დაუწესდეს მეტი გეგმა. როცა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ერთ ზონაში არიან, აქვთ თანაბარი ბუნებრივ-ეკონომიური, საწარმოო პირობები, არ უნდა იყოს საგრძნობი განსხვავება პროდუქტების დამზადების გეგმებში.

სწორი დაგეგმვის მთელ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები. ისინი მოწოდებული არიან მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოსა და შრომელთა ინტერესები, გამოიჩინონ ორგანიზატორული მუშაობის უნარი. იმის ცოდნა, რომ ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, გამოავლინონ ნაკლოვანებები და გამოასწორონ ისინი.

მაგრამ „კი არ უნდა ვმბრძანებლობდეთ, — წერდა ამას წინათ „პრავდა“ სარედაქციო სტატიაში, — კი არ უნდა მივმართავდეთ ᲐᲓᲒᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲕᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲔᲑᲓᲔᲗ და ᲛᲮᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲭᲕᲔᲠᲓᲔᲗ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ, ᲛᲝᲬᲛᲐᲠᲔᲑᲝᲛᲔᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲛᲬᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ“.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲒᲘᲢᲞᲐᲣᲜᲥᲢᲔᲑᲨᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

1965 21 ᲯᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲯᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში დაიწყო ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. დამატებით შეიქმნა აგიტპუნქტები, გამოიყო აგიტატორები, პოლიტიკური განათლების კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურისა და პლაკატლოზუნგების გამოფენა.

დიდი მზადებაა კალინინის სახელობის მაღაროში, ამომრჩეველებთან საინტერესო საუბრები ჩაატარეს აგიტატორებმა დ. სებისკვერაძემ, მ. გოგიბერაშვილმა, ი. გურულმა, ბ. კეთილაძემ. პარტიული ბიუროს მდივანმა და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა გ. თაბაგარმა ჩაატარა აგიტატორთა სემინარი.

მომხსენებელთა ჯგუფის წევრები შ. მაჭარაშვილი, დ. კახნიაშვილი, ე. გოორგობიანი, ეთ. მაჩიტაძე ამზადებენ მოხსენებებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობასა და მის დემოკრატიულ ხასიათზე.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. (საკ. კორ.). განსაკუთრებული გამოცოცხლებაა დღეს ახალშექმნილი რაიონის ყოველ კუთხეში. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება აქ მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს. რაიონში შექმნილი 24 აგიტპუნქტი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებს წარმოადგენს. 870-მდე აგიტატორი იყენებს საგაგიტაციო მუშაობის მდიდარ არსენალს.

საგაგიტაციო მუშაობაში ჩაბმული არიან ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები. ხაბუმის აგიტპუნქტში (გამგე ბ. ჩილიგავა) მოეწყო შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან — ნოვატორ მეჩაიე ნ. შენგელიასთან და რაიასბჭოს დეპუტატთან — მეჩაიე ნ. გორდულაძესთან.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ გაცხოველებული მზადებაა ლენინის რაიონის № 31 აგიტპუნქტში. გუშინ აქ გამოუშვეს ახალი კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმა“. ამ სურათზე აღბეჭდილია ის მომენტი, როცა აგიტპუნქტის გამგე მ. მამალაძე (მარჯვნიდან მეორე), აგიტატორები შ. ეჯიბაძე (მარცხნივ), გ. ცომაია და თ. ბაბუაშვილი უკანასკნელად ამოწმებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს, ათვალიერებენ მასში მოთავსებულ წერილებს, ფოტოსურათებს, ჩანახატებს. მას ხომ მრავალი ამომრჩეველი წაიკითხავს და ამიტომაც ასე ბეჯითად სინჯავენ გამოკვრის წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გამოფენები, საუბრები

ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). რაიონის საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ჩაღდება მზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. პოლიტიკური განათლების კაბინეტებში, აგიტპუნქტებსა და ბიბლიოთეკებში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

ფეროშენადნობთა ქარხანაში 150-ზე მეტი აგიტატორი ესაუბრება მეტალურგებს საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობასა და მის თანმიმდევრულ დემოკრატიულ ბუნებაზე, ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობაზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠ

1965 — 1966 — 1967 — 1968 — 1969

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲘᲚᲘ

ᲚᲘ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲓᲘᲑᲝ ᲙᲔᲘᲢᲐᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მალის რესპუბლიკაში გამგზავრების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და პარტია (აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების) სუდანის კავშირის პარტიის — გენერალურმა მდივანმა მოდიბო კეიტამ წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს.

დიდი სიხარულით აღვნიშნავთ, წერს ლ. ი. ბრეჟნევი, რომ ჩვენს პარტიებს ერთნაირი, საერთო ინტერესები და მიზნები აქვთ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხურვალედ მეესალმება სუდანის კავშირის პარტიის, მალის რესპუბლიკის ხალხის არჩევანს სოციალიზმის სასარგებლოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ვითარდება პარტიული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სუდანის კავშირს შორის, რომელიც ისევე როგორც სსრ კავშირისა და მალის რესპუბლიკის სოციალისტიფოთოშორისი ურთიერთობა, უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა.

მოდიბო კეიტამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს გადასცა პარტია სუდანის კავშირის — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების ეროვნული პოლიტბიუროს სმური და მეგობრული სალამი. სუდანის კავშირის — აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების აქტივისტები, ხაზს უსვამს იგი, ამაყობენ იმით, რომ გულთბილი და ძმური ურთიერთობა აქვთ დიდი ლენინის პარტიის წევრებთან. ჩვენ პარტიას, წერს მოდიბო კეიტა, ფასდაუდებელ უპირატესობად მიიჩნია იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძვირფასი გამოცდილება და მხარდაჭერა, რომელმაც ააშენა სოციალიზმი და. მიუძღვის დიდ საბჭოთა ხალხს კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

მოდიბო კეიტამ მიიღო მიწვევა საბჭოთა კავშირში, ამჟერად როგორც პარტია სუდანის კავშირის გენერალურმა მდივანმა. (საკდესი).



ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საპატიო წევრის ამხ. კ. ვ. ხრუშჩევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის მოღვაწეობისათვის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის განსამტკიცებლად და დამადების ის ათი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე ვიკენტის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲔᲕᲘ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ა. ᲛᲘᲙᲝᲘᲐᲜᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1965 წლის 25 იანვარი.

* * *

...„ნოვოროსიისკი, შიპკის გმირს“ — ეს მოკლე მისამართი საკმარისია იმისათვის, რომ წერილი ან დეპეშა მიუვიდეს კონსტანტინე ვიკენტის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲔᲕᲘ. რომელიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილეთაგან უკანასკნელი ამჟამად ცოცხალი პირია. ფოსტის მისთვის მოაქვს ბევრი გულითადი სიტყვა არა მარტო საბჭოთა ადამიანებისაგან, არამედ ბულგარელი მეგობრებისგანაც, რომლებიც დიდად აფასებენ რუსი მეომრის, გიორგის სამივე ჯვრის კავალრის საბრძოლო მამაცობას, რომელიც მან გამოიჩინა შიპკის უღელტეხილზე და პლევნასთან ბრძოლებში. კონსტანტინე ვიკენტის-ძე რუსეთ-თურქეთის ომში მსახურობდა პრეობრაჟენსკოეს პოლკის ლეიბ-გვარდიის უფროსს უნტერ-ოფიცრად. შიპკის უღელტეხილის დაცვისას იგი მზვერავი იყო, პლევნისათვის ბრძოლებში ერთ-ერთი პირველი შეეჯიდა ცხენსმაგრეში.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად, სადაც რუსი ჯარისკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ ბულგარელი რაზმელები, მომმე ხალხი განთავისუფლდა თურქთა ხუთსაუკუნოვანი ბატონობის უღლისაგან. ამ განთავისუფლებელ ომში დამსახურებისათვის და გმირის დამადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა კონსტანტინე ვიკენტის-ძე ᲮᲠᲣᲨᲩᲔᲕᲘ დაჯილდოვა გიორგი დიმიტროვის ორდენით.

(საკდესი).

ᲔᲚᲩᲘ ᲙᲘᲛ ᲒᲔᲜ ᲓᲘᲙᲘ ᲔᲦᲕᲘᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲡ

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კიმ ბენ დიკი ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. ა. ნ. კოსიგინსა და კიმ ბენ დიკს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი .(საკდესი).

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

ᲓᲦᲔᲚᲘ, 25 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ დაიდო ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა შეთანხმება, რომ საბჭოთა ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით ბოკაროში აშენდება დიდი მეტალურგიული ქარხანა, რომლის თავდაპირველ სიმძლავრე იქნება 1,5-2 მილიონი ტონა ფოლადი წელიწადში და შემდეგ ეს სიმძლავრე გაფართოვდება 4 მილიონ ტონამდე წელიწადში. ეს იქნება მეოთხე მეტალურგიული ქარხანა ინდოეთის სახელმწიფო სექტორში. შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი ინდოეთს მისცემს კრედიტებს დაახლოებით 1 მილიარდი რუპიის ოდენობით 12 წლის ვადით წლიური 2,5 პროცენტის ანგარიშით. საბჭოთა კავშირი შეიმუშავებს ქარხნის ტექნიკურ პროექტს.

შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გამოვიდა ფოლადისა და წიაღის მინისტრი სანჯივა რედი, რომელმაც ინდოეთის მთავრობისა და ინდოელი ხალხის სახელით მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს დიდი დახმარებისათვის ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. შეთახმებმა, თქვა მან, კიდევ უფრო განამტკიცებს ინდოეთისა და დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრობას, და ინდოელი ხალხი დაიფასებს საბჭოთა ხალხის ამ ახალ მეგობრულ ჟესტს.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲓᲦᲔᲚᲘ, 25 იანვარი. (საკდესი). დღეს, ინდოეთის რესპუბლიკის დღის ეროვნული დღესასწაულის წინ, ინდოელ ხალხს რადიოთი მიმართა ინდოეთის პრეზიდენტმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა. მან თანამემამულეებს მოუწოდა მიბაძონ განსვენებულ ჯავაჰარლალ ნერუს მაგალითს, „ვისი ცხოვრება მოხარდა ერთიანი „დემოკრატიული. პროგრესული და აყვავებული ინდოეთის შექმნის ამოცანას“. რადჰაკრიშნანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვიტონ მწვავე პრობლემები, რომლებიც აყოვნებენ ინდოეთის ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს. ამ პრობლემებს შორის მან დაასახელა სასურსათო სიძნელეები, ფასების ზრდა, ის, რომ საკმაო სწრაფი ტემპით არ იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რომელიც ჩამორჩება მოსახლეობის ზრდას, აგრეთვე კასტური ცრურწმენები, სიღატაკე, და უწიგნურობა.

თუ გვინდა, რომ ჩვენს დემოკრატიას საჭირო სტაბილურობა ჰქონდეს, თქვა პრეზიდენტმა, უნდა ავამაღლოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე, უზრუნველვყოთ საარსებო დოვლათის თანაბარი განაწილება.

პრეზიდენტმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობის მოწესრიგებას მეზობელ სახელმწიფოებთან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და პაკისტანთან.

„ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲚᲔᲑᲝ, ᲬᲐᲔᲗᲠᲘᲔᲗ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ!“

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 იანვარი. (საკდესი). „ამერიკელებო, წაეთრიეთ ფილიპინებიდან!“ „ძირს ამერიკელი მკვლელები“! — ასეთი ლოზუნგებით მანილაში ამერიკის საელჩოს შენობასთან გაიმართა ფილიპინების დედაქალაქის რამდენიმე ათასი მცხოვრების დემონსტრაცია.

ამას იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო კორესპონდენტი. საელჩოს შესასვლელთან დემონსტრანტებმა დაწვეს ფიტული — „ძია სემის“ გამოხატულება, რომელსაც წარწერილი ჰქონდა „ამერიკული იმპერიალიზმი“.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲘᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს ინდოეთის დედაქალაქში გაიმართა სამხედრო პარადი და ლამაზი სვლა რესპუბლიკის 15 წლისთავის აღსანიშნავად.

9 საათსა და 30 წუთზე რაჯ პატის ცენტრში ამაღლებულ ადგილას რესპუბლიკის პრეზიდენტი სარვაპალი რადჰაკრიშნანი იდგა. იწყება ჯარების საზეიმო მარში. მას ხსნის პრეზიდენტის გვარდია. შემდეგ გაიარეს სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ძალების ქვეგანაყოფთა მწყობრმა კოლონებმა.

ლამაზი პარადი და სვლა შუაღამემდე გაგრძელდა.

„ᲛᲔᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ“

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲗᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ ოსვენციმის ჰიტლერული სიკვდილის ბანაკის განთავისუფლების მე-20 წლისთავთან დაკავშირებით უნგრეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილმა მონაწილეებმა და საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილმა პატიმრებმა პროტესტი განაცხადეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ შეწყდეს ფაშისტ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო დ

ყოველი მხრიდან

ლაოსი. ამერიკის შეერთებული შტატების ავიაცია განაგრძობს პროვოკაციულ ფრენას იმ ტერიტორიის თავზე, რომელსაც კონტროლს უწევენ პატეტ-ლაო და მემარცხენე ნეიტრალისტები. პატრიოტული შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან ბრძოლისათვის, სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას.

სურათზე: პატრიოტული ძალების რაზმი.
საკდესის ფოტოქრონიკა.

მშვიდობის უგრუნველყოფის პროგრამა

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკე კვლავ საზღვარგარეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. ბევრ ყურადღებას უთმობს ამ დოკუმენტს სოციალისტური ქვეყნების პრესა. თავიანთ კომენტარებში გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს დიდი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელთა ვარშავის თათბირმა დასახა კონკრეტული პროგრამა, თუ როგორ უნდა გადაიჭრას თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის, წერს **სლოვაკიის** გაზეთი **„პრავდა“**. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვარშავის კომუნიკე არა მარტო საღად და ობიექტურად აფასებს საერთაშორისო ვითარებას, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს უდიდეს საფრთხეს, რასაც შეიცავს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნისა და დასავლეთგერმანელი რევანშისტებისა და მილიტარისტების ხელში ატომური იარაღის ჩაგდების გეგმები.

„სიფხიზლე, მზადყოფნა, ხალი გონება მშვიდობის ინტერესებისათვის“ — ასე აფასებს **პოლონეთის** გაზეთი **„ჟოლნეჟ ჟოლნოსტი“** ვარშავის თათბირის შედეგებს. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც იცავენ სიფხიზლესა და თავდაცვით მზადყოფნას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური ღაჯღონის საფრთხის გამო, წერს გაზეთი, გამოიჩინეს საღი აზრი და ზრუნვა მშვიდობისათვის.

მეორე **პოლონური** გაზეთი **„ზტანდარ ვლოდიჩი“** აღნიშნავს, რომ იარაღის ყოლარუნისაგან განსხვავებით, რასაც ხშირად ვხედავთ ნატოს სესიებზე, ვარშავის თათბირზე სჯა-ბაასი იყო, მშვიდობიანი თანაარსებობის გზების შესახებ. ვარშავიდან მთელ მსოფლიოში გაისმა არა მარტო გაფრთხილების ხმა, არამედ მოწოდებაც განაგრძონ აქტიური თანაარსებობა.

ვარშავის თათბირის კომუნიკე შეიცავს საერთაშორისო ვითარების სერიოზულ ანალიზს, აღნიშნავს **კუბის** გაზეთი **„ჰუანდო“**. გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს კომუნიკეში აღნიშნულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოქმედებას, რაც იწვევს საერთაშორისო ვითარების გამწვავებას, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მტრულ პოლიტიკას კუბის მიმართ და ამერიკის მხედრიონის საშიშ პროვოკაციებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. „ჰუანდო“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიერ დასახული პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ მათს და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის არა მარტო ერთბაშად შეახელებდა საერთაშორისო დაძაბულობას, არამედ შექმნიდა ხელშეკრულ ვითარებას იმისათვის, რომ განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა, შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება.

იუგოსლავიის გაზეთი **„ბორბა“** წერს, რომ ვარშავაში მიღწეულია სრული თანხმობა ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმების შეფასებაში, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

ამ გეგმების განხორციელების შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები იძულებული იქნებიან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების დასაცავად.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მთელმა საქმიანობამ და ამ თათბირზე მიღებულმა კომუნიკემ, ნათქვამია **მონდლელეთის** გაზეთ **„უნენის“** მოწინავე სტატიაში, ერთხელ კიდეც ცხადყო, რომ მსოფლიოში არიან ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ალაგმონ ომის იმპერიალისტი კამჩალებელები.

სოციალისტურმა ქვეყნებმა დასახეს კონკრეტული პროგრამა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, განიარაღებას, ეროვნულ უშიშროების უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებას. წინადადება ასეთი სისტემის შემუშავების შესახებ მთელ მონღოლ ხალხს მიაჩნია თათბირის უმნიშვნელოვანეს მიღწევად.

ახალი პროვოკაცია

ჰანოი, 26 იანვარი. (საკდესი). შეერთებული შტატების და საიგონის ხელისუფალთა სამი სამხედრო ხომალდი შეეჭრა გუშინ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში და ცეცხლი დაუშინა სოფელ ვინ ტიაკს დემილიტარიზებული ზონის მახლობლად.

ამასთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის კავშირის მისიის მეთაურმა მოუწოდა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას მოსთხოვოს შეერთებულ შტატებსა და მათ საიგონელ მარionეტებს შეწყვიტონ ასეთი პროვოკაციები და დივერსიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეწყვიტონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში.

გაფიცვა, პეტიცია

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან იუწყება, საფრთხეშია პორტუგალიის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის/ვიეცე-პრეზიდენტის ფერნანდო ბაეტა ნეველის სიცოცხლე, რომელიც ამას წინათ დაპატიმრეს. დაკითხვის შემდეგ პოლიციამ გამოაცხადა, რომ ნეველი ცდილობდა თავი მოეკლა.

პორტუგალიელ სტუდენტთა ასოციაციამ განაცხადა, რომ პოლიციამ „კომუნისტური შეთქმულების“ ბრალდებით დაპატიმრა სულ ცოტა 60 სტუდენტი. ასოციაციამ სამი დღის გაფიცვა გამოაცხადა უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ნიუ-იორკის კრიზისი

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ჰარი ფრიმენი იტყობინება:

„ქალაქ ნიუ-იორკის კრიზისი“ — ასე დასათაურა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ პირველი სტატია იმ სტატიების სერიიდან, რომლებიც ასახავენ ამ უზარმაზარი ქალაქის მწვავე-პრობლემებს.

როგორია ეს პრობლემები?

პირველ ადგილზეა სიღარიბე. ამის გამო გაზეთის კორესპონდენტთა ჯგუფმა, რომელიც ამზადებს სტატიების ამ სერიას, განაცხადა: „ნიუ-იორკი ქალაქია, სადაც სიღარიბე ყველგან იგრძნობა და უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის დღითი დღე ფართოვდება და სულ უფრო გადაულახავი ხდება. ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ, რომელსაც ფართო რეკლამას უწევენ, ზანგებისთვის, პუერტორიკოელებისათვის და მოხუცებისათვის მხოლოდ კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური ლოზუნგია“. სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი სიღარიბეში ცხოვრობს. ბევრი ცხოვრობს „ანტისანიტარიულ პირობებში — მჭიდროდ დასახლებულ, ცივ ბინებში, სადაც უამრავი ვირთაგვაა“.

უკეთესად არ არის სოციალური უზრუნველყოფის საქმეც. ახლა, წერს გაზეთი, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს უმნიშვნელო დახმარებით. სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა კორესპონდენტებს განუცხადა. „ჩვენ არაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ შევაჩეროთ ამ ციფრის ზრდა. ყოველი ადამიანის ნაცვლად, რომელსაც სიიდან ვშლით, სამი ან ოთხი ახალი მთხოვნელი მოდის“.

ნიუ-იორკელთა მდგომარეობა იმითაც რთულდება, რომ ქალაქს აკლია საავადმყოფოები. გაზეთი წერს, რომ ავადმყოფები ხშირად იძულებული არიან რამდენიმე დღე ელოდონ, სანამ ქალაქის საავადმყოფოში მოხვდებიან.

ქალაქ ნიუ-იორკის კრიზისი ცუდ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ნიუ-იორკში 70 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი უსაქმოდ დადის ქუჩებში. ისინი არც მუშაობენ და არც სწავლობენ.

ქალაქის პრობლემათა გრძელ სიაში ავტორებმა შეიტანეს აგრეთვე ქალაქის ტრანსპორტის გადატვირთვა. ისინი წერენ, რომ „ნიუ-იორკის ტრანსპორტზე ყოველდღე რთულდება შეფერხებები, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი სულ უფრო ნაკლებია“.

ეს მხოლოდ ნაწილია ქალაქის იმ პრობლემებისა, რომლებიც აღნიშნულია „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ სტატიაში. მაგრამ ეს პრობლემებიც საკმაოდ დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ ამერიკის ბიზნესის დედაქალაქი ისეთსავე ღრმა კრიზისს განიცდის, როგორსაც მთელი კაპიტალისტური სისტემა.

ვაშინგტონის საზარბაზნე ხორცი

ფხენიანი, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც სეულის რადიო იუწყება, სამხრეთ კორეის ეროვნულმა კრებამ მოიწონა პაკ ჯონ ჰის მთავრობის წინადადება, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნოს 2 ათასი სამხრეთკორეელი ჯარისკაცი. მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო ამერიკის სეულელი ელჩის „რჩევით“.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

სამხრეთ ვიეტნამში შექმნილ ვითარებას ეძღვნება დღეს მრავალი ცნობა და კომენტარი მთელ მსოფლიო პრესაში.

ნიუ-იორკის გაზეთები განაგაშს ტეხენიმის გამო, სამხრეთ ვიეტნამში გაძლიერდა ამერიკის საწინააღმდეგო და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები და სხვა გამოსვლები. „შფოთი, არეულობა, სტაბილობის უქონლობა — აი ვიცით, რა შეიძლება ითქვას კიდევ სამხრეთ ვიეტნამზე, სადაც ვითარების დამახასიათებელი მერყეობა კიდევ უფრო ძლიერდება“, — წერს პარიზის გაზეთი **„ნასიონი“**.

ამერიკის პრესა ფართოდ ამუქებს პრეზიდენტ ჯონსონის საბიუჯეტო წერილს კონგრესისადმი. ბევრი გაზეთი იუწყება, რომ ალაბამის შტატში პოლიციამ მხეცურად ესროლა ზანგ ამომრჩეველთა რეგისტრაციისათვის დაწყებული კამპანიის მოხაწილეებს.

ლონდონის ყველა გაზეთის პირველ გვერდებზე კვლავ იბეჭდება ეინსტაინ ჩერჩილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მასალები.

ეხება რა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონის მომავალ ვიზიტს ბონში, „დეილი ექსპრესი“ წერს, რომ ვილსონს იქ მოელის მხოლოდ ახალი დამცირება. პესიმისტურად აფასებს ამ შეხვედრის პერსპექტივას აგრეთვე გაზეთი „გარდიანი“.

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ დღეს იწყება საფრანგეთის სახელმწიფო და ნაციონალიზებულ საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელების 36 საათის გაფიცვა.

დასავლეთგერმანული გაზეთები აშუქებენ თავდაცვის მინისტრის ფონ ჰასელის ინტერვიუს იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოსადმი. ამ ცნობების გამო, რომ მოსალოდნელია ინგლისის „რაინის არმიის“ შემცირება, ფონ ჰასელმა განაცხადა, „არაფერი ვიცი ამის შესახებო“, ამ საკითხის გადაჭრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა განვაგრძოთ „დაშინების სტრატეგიაო“.

რაპონის პრემიერ-მინისტრი სატოს გამოსვლა პარლამენტში ტოკიოს გაზეთების ცენტრალური თემაა. **„ასახი“**, **„იომიური“**, **„მაინიტი“** და ზოგიერთი სხვა გაზეთი სარედაქციო სტატიებში უმაყოფილებას გამოთქვამენ ამ გამოსვლის გამო.

ვარშავის „ტრიბუნა ლუდუ“ სტატიაში სათაურით „წესიერი აღმოსავლეთ-დასავლეთის დიალოგში“, ეხება პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. რაპაცკის ვიზიტ რომში. (საკდესი).



საერთაშორისო ჟურნალისტიკა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში

— შესდეგ! უნებართვოდ აქ შეიძლება მხოლოდ ზანგებს ესროლო.
ნახატი ჩეხოსლოვაკიელ მხატვარ ბიტზისა.

მოკლე ცნობები

△ **დელიში** ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ინდოეთის მთავრობას კრედიტად მისცემს 105 მილიონ რუპიას ორი მძლავრი გენერატორის შესასყიდად. ეს უკვე მესამე შეთანხმებაა კრედიტების შესახებ ორ ქვეყანას შორის.

△ **იტალიელმა** რეჟისორმა ჯორჯო დე ლულომ რომის თეატრ „ელიზეოში“ დადგა ა. პ. ჩეხოვის „სამი და“. თუმცა, იტალიელ თეატრალურ კრიტიკოსთა აზრით, დე ლულოს დადგმა ჩამოუვარდება ლუკინო ვისკონტის დადგმას, რაც 1952 წელს განხორციელდა, სპექტაკლი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და წარმატება აქვს მაყურებელთა შორის.

△ **24 იანვარს** ტაილანდის პრემიერ-მინისტრი ტანომ კიტიკაჩონი მოხვდა საავიაციო კატასტროფაში. ოვითმფრინავი, რომლითაც იგი ჩავიდა პიტსანულოკში (დაახლოებით 400 კილომეტრზე ბანგკოკის ჩრდილოეთით), დაჯდა ისე, რომ არ გამოუშვია ზასი. მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა, მაგრამ სანამ ცეცხლი მოედებოდა მას, პრემიერ-მინისტრი და მისი თანმხლები მაღალი თანამდებობის ოფიცერთა ჯგუფი გადაარჩინეს.

△ **კორეის** სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურ ჩხონჯინში იაპონიიდან ჩავიდა კორეელ რეპატრიანტთა 122-ე ჯგუფი.

△ **ჩომბეს** დაქირავებულთა მეთაურმა — მაიორმა ხოარმა, რომელიც უფრო მეტად ცნობილია „გიჟი მაიკის“ სახელით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩომბეს არმიისათვის მოაგროვა 150 ახალი დაქირავებული. იუწყება რა ამას, პრესა აღნიშნავს ავრეთვე, რომ ამ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ჩომბეს არმიას შეემატა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩასული 200 დაქირავებული. (საკდესი).

რომის მოსახლეობა

იტალიის დედაქალაქის მოსახლეობამ გასული წლის ნოემბრისათვის მიაღწია 2.458.000 კაცს. ეს ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც რომის მუნიციპალიტეტმა გამოაქვეყნა.

ინგლისის საავტომობილო

ინგლისის საავტომობილო კომპანიის „მიდლენდ რედის“ დაახლოებით 3500 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას. გაფიცვა მოედო ინგლისის ცენტრალურ რაიონებს. ფირმის გარაჟებში მოცდენილი იყო 1200 მანქანა.

„მიდლენდ რედის“ ავტობუსები ჩვეულებრივ ემსახურება მილიონზე მეტ მგზავრს. გაფიცვის დღეს ეს რიცხვი 60-70 პროცენტით შემცირდა.

ტაილანდი. 135 კილომეტრზე ბანგკოკის სამხრეთ აღმოსავლეთით სვერაჩის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშების ნახევარზე მეტმა გაფიცვა გამოაცხადა. ცხოვრების ღირებულების ზრდასთან დაკავშირებთ ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას და სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. საწარმო ინგლის-ტაილანდის ერთობლივი საკუთრებაა.

იტალია. მილიონნახევარმა იტალიელმა მოჯამაგირემ მოაწყო „ახალი აგრარული პოლიტიკისათვის, ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ახალი ეროვნული დღე“. მთელს იტალიაში მოეწყო გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო გლეხებმა, არამედ ზშენებლებმა და სამრეწველო საწარმოთა მუშებმა, რომლებიც სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულებს.

გაზეთი „უნიტა“ აღნიშნავს, რომ შარშან დასაქმებულ მოჯამაგირეთა რიცხვი შემცირდა 1963 წელთან შედარებით 12 პროცენტით, ხოლო მათი ხელფასის ფონდი — ექვსი მილიარდი ლირით.

მექსიკაში გაფიცულია **ამერიკის საავტომობილო კომპანიის „ჯენერალ მოტორსის“ ქარხნის 50 ათასი მუშა. მშრომელები მოითხოვენ ხელფასის მომატებას. (საკდესი).**

ამერიკის 1966 საფინანსო წლის ბიუჯეტი

ვაშინგტონი, 25 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. კოპეტინი იუწყება:

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა „წერილი 1966 საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ“, რომელიც იწყება მიმდინარე წლის 1 ივლისს და მთავრდება მომავალი წლის 30 ივნისს.

შეერთებული შტატების ახალი ბიუჯეტის გასავლის ნაწილი უდრის 99,7 მილიარდ დოლარს, ესე იგი, წინასწარი გაანგარიშებით, იგი 2,2 მილიარდი დოლარით აღემატება ამერიკის მთავრობის ხარჯებს მიმდინარე 1965 საფინანსო წელს. ისევე როგორც ყოველთვის, ხარჯების გასავლის უდიდეს ნაწილს შეადგენს ასიგნებანი სამხედრო საჭიროებებისთვის. იმის მიუხედავადაც კი, რომ სამხედრო ასიგნებანი ახალ ბიუჯეტში შემცირებულია 600 მილიონი დოლარით, ისინი ჯერ კიდევ შეადგენენ ერთად დიდ თანხას — 51,6 მილიარდ დოლარს, რაც საგრძნობ ტვირთად აწევება ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს.

პრეზიდენტის წერილში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მომავალი საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტის უმნიშვნელო შემცირება გამოწვეულია იმით, რომ „ოთოქმის დამთავრდა ჩვენი ძალების განმტკიცება, რაც 1961 წელს დაიწყო“.

სამხედრო საჭიროებებისათვის გაწეულ ასიგნებათა გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების 1966 წლის ბიუჯეტში ცალკე გათვალისწინებულია ხარჯები 5,1 მილიარდი დოლარის ოდენობით სამშვიდობისათვის კოსმოსის დარგში, რომლებიც ხშირად ემთხვევა სამშვიდობის შეიარაღების დარგში.

4 მილიარდ დოლარს ამერიკის მთავრობა გამოჰყოფს ეგრეთწოდებული „საერთაშორისო სამეფინანსოსა და საერთაშორისო დაფინანსების“ პროგრამისათვის. ამ მუხლით დაფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის საქმიანობა, უცხოეთის სახელმწიფოსთვის ეკონომიური „დახმარების“ პროგრამა, შეერთებული

პრეზიდენტ ჯონსონის წერილი კონგრესისადმი

შტატების პროპაგანდისტული მანქანის საქმიანობა, რასაც ეწევიან საინფორმაციო საგაზეთო და საკმაოდ ცნობილი „შშვიდობის კორპუსი“, „დახმარება“ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის „პროგრესის კავშირის“ მშვეიერთი და სხვა ორგანიზაციები და პროგრამები, რომლებიც შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის იარაღია.

შეეხო რა ასიგნებებს სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის და ამერიკელ ფერმერთა მდგომარეობას, პრეზიდენტმა ჯონსონმა აღნიშნა, რომ ბევრი ფერმერი თავს ანებებს თავის მეურნეობას, რომ „ერთობ ბევრ ჩვენს ოჯახს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ“, აქვს მცირე შემოსავალი. მიუხედავად ფერმერთა მეურნეობებში შექმნილი ამგვარი მდგომარეობისა, შეერთებული შტატების ახალი ბიუჯეტი სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის ითვალისწინებს, 3,9 მილიარდ დოლარს — 600 მილიონი დოლარით ნაკლებს, ვიდრე მიმდინარე წელს, და 1,7 მილიარდი დოლარით ნაკლებს, ვიდრე 1964 საფინანსო წელს.

ამერიკის შეერთებული შტატების 1966 საფინანსო წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ასიგნებათა გადიდებას სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად ამერიკაში. ჯონსონმა მოითხოვა მობილიზაცია უყონ ადგილობრივ, შტატებისა და ფედერალურ რესურსებს, რათა „ენერგიული იერიში მიიტანონ სიღარიბის მიზეზებზე, რომელშიც ცხოვრობს ჩვენი მოსახლეობის მეხუთედი, მათ შორის 15 მილიონი ბავშვი“. გარდაუვალის სისტემისათვის 1966 წელს გამოიყოფა 2,7 მილიარდი დოლარი, ესე იგი 1,2 მილიარდით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს, და სოციალური უზრუნველყოფისათვის — 8,3 მილიარდი დოლარი.

ამერიკის შეერთებული შტატების 1966 საფინანსო წლის ბიუჯეტის შემოსავლის მუხლი, წინასწარი გაანგარიშებით, შეადგენს 94,4 მილიარდ დოლარს, ესე იგი 3,2 მილიარდით მეტს, ვიდრე მოელიან მიმდინარე წელს, რომელიც მთავრდება 30 ივნისს. ამრიგად, შეერთებული შტატების მთავრობის ხარჯები ახალ საფინანსო წელს აღემატება შემოსავალს 5,3 მილიარდი დოლარით, რაც 1 მილიარდი დოლარით ნაკლებია, ვიდრე მიმდინარე წლის დეფიციტი.

ახალი ბიუჯეტის მთავარი ტვირთი, როგორც ჩვეულებრივ, ამერიკელ ხალხს ეკისრება. მთავრობის ყველა შემოსავლის 50 პროცენტი ხაზინაში შევა მოსახლეობის სხვადასხვაგვარ გამოსაღების სახით. კორპორაციების გადასახადებისაგან მთავრობა მიიღებს 27,6 მილიარდ დოლარს.

წინასწარი გაანგარიშებით, შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 1965 წლის 30 ივნისისათვის შეადგენს 316,9 მილიარდ დოლარს, ხოლო 1966 წლის 30 ივნისისათვის — 322,5 მილიარდ დოლარს.

საინტერესო ციფრები

რა ჯდება გამალებული შეიარაღება

▲ **შეიარაღება კაცობრიობას წელიწადში 120 მილიარდი დოლარი უჯდება;**

▲ **ყველა** ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში 20 მილიონამდე კაცი მსახურობს;

▲ **ცნობილი** ამერიკელი მეცნიერის ლაინუს პოლინგის გამოანგარიშებით, ატომური იარაღის მსოფლიო მარაგი უდრის 320 ათას მეგატონას ტროტილის ეკვივალენტით. ამ მარაგის ერთი მეათედი კმარა იმისათვის, რომ მოსპოს 720 მილიონი კაცი;

▲ **ახალი** მოდელის ბომბდამშენი ოვითმფრინავის შექმნის ღირებულება უდრის 250 ათასი მასწავლებლის წლიურ ხელფასს. ამ თანხით შეიძლება აგრეთვე 50 ათასი ტრაქტორის ან 15 ათასი კომბაინის შეძენა;

▲ **ახალი** ტიპის ზეგბგრითი ავიაგამანადგურებლის შესაქმნელად დახარჯული ფული შეიძლება ამუნდეს საცხოვრებელი სახლები სამ მილიონზე მეტი კაცისათვის;

▲ **თანამედროვე** ატომური წყალქვეშა ნავის ასაგებად საჭირო სახსრებით შეიძლება აშენდეს 50 საავადმყოფო.

(ჟურნალი „კურიერ იუნესკო“, № 11 1964 წ.).

ტროპიკული ციკლონი, ნისლი

● **თოთქმის** ერთი კვირაა მადაგასკარში მძვინვარეს ტროპიკული ციკლონი, რომელსაც დაარქვეს „ირისი“. ტროპიკული კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა მადაგასკის რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონები. ფიანარანცოას პროვინციაში დატბორილია რამდენიმე ქალაქი და სოფელი, შეწყვეტილია მიმოსვლა გზაკავეცილებზე. მატერიალური ზარალის ოდენობა, რაც ციკლონმა მიაყენა ახალგაზრდა რესპუბლიკის მეურნეობას, გამოუკვეველია, რადგან შეწყვეტილია კავშირი ამ ქვეყნის ბევრ რაიონთან.

● **ხშირი** ნისლი ჩამოწვა ბრიტანეთის კუნძულებზე. ზოგიერთ რაიონში ხილვადობა ხუთ მეტრს არ აღემატება. აეროდრომები დაიხურა ლონდონში, ბელფასტში, გლაზგოში, ედინბურგში, დუნლინსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. ძლიერმა წვიმებმა ირლანდიის სამხრეთში გამოიწვია მდინარე შენონის დონის გადიდება ხუთ მეტრზე მეტით და შექმნა წყალდიდობის საფრთხე. (საკდესი).

ოროგანიზებულად ჩავატარეთ სახალხო მსაჯულთა არჩევნები

ვ. მაისურაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

მსაჯულთა საბჭოების მუშაობას, რომლებიც შექმნილია ყველა სახალხო სასამართლოსთან.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქ. თბილისის 1-ლი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოსთან შექმნილი მსაჯულთა საბჭო, რომელსაც სახალხო მსაჯული ვ. მურღულია ხელმძღვანელობს.

მსაჯულთა საბჭოს შედგენილი აქვს კვარტალური გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ ცალკეული საკითხების შემოწმებას, როგორიცაა აღმასრულებლის მიერ შედგენილი უქონლობის აქტების შემოწმება გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეებზე, სამსჯავრო პროცესების დროულად დაწყების საკითხი სახალხო სასამართლოში და სხვა.

მსაჯულთა საბჭოს წევრებმა სტურუამ და ჯიჯელავამ ბინაზე შეამოწმეს ალიმენტის ურჩი არგაადამხდელები, ესაუბრნენ მათ და მიაღწიეს თანხმობას იმის შესახებ, რომ დროზე გადაიხდიდნენ ალიმენტს. ამის შემდეგ ა. ჯიხვაძე, გ. ჩარუხანიანი, გ. ჯანვარდაშვილი, ნ. სოსიაშვილი და სხვები დროულად იხდიან ალიმენტს.

მსაჯულთა საბჭოს ზემოაღნიშნული განსაკუთრებული აზრის საფუძველზე დაიწერა პროტესტი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით გ. მნაცაკანოვსა და ვ. პოღოსოვს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალათ გამასწორებელი მუშაობით.

სახალხო მსაჯული ჯარგ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული სასამართლო ორგანოების მუშაობის სწორი ორგანიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი ენიჭება სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრებს ხშირად აკითხავენ იმ საწარმო-დაწესებულებებს, რომელთა შუამდგომლობის საფუძველზე სახალხო სასამართლოს მიერ აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ ესა თუ ის მუშაკი. საბჭომ გამოარკვია, რომ № 2 თამბაქოს ფაბრიკის მუშა ო. ოგანეზიანი, ქარხანა „ელექტროძრავის“ მუშა ა. ხაჩატურიანი და სხვები გამოსწორების გზას დაადგნენ და კოლექტივიც მათ მზრუნველობას არ აკლებს.

კარგად მუშაობს ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოსთან არსებული მსაჯულთა საბჭო (თავმჯდომარე გ. ჯაში). ამას წინათ მსაჯულთა საბჭომ შეამოწმა სახალხო სასამართლოს კანცელარიის მუშაობა მოქალაქეებზე საჩივრების პასუხის გაცემის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საჩივრებზე პასუხის ვადის დარღვევით გაცემის შემთხვევებს. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა მსაჯულთა საბჭოს სხდომაზე. შედეგი ეცნობა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის სათანადო ღონისძიებით ხარვეზი გამოსწორდა. მსაჯულთა საბჭოს მიერ გამოყოფილი არიან სახალხო მსაჯულები სახალხო სასამართლოში. მონაწილეობისათვის აქტიური საქმიანობით გამოირჩევიან სახალხო მსაჯულები № 8 აფთიაქის მმართველი მ. ქართველიშვილი, ინჟინერი ი. ყიფიანი, მასწავლებელი შ. ცნობილაძე.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში ყველა იცნობს სახალხო მსაჯულს, კომუნისტური პარტიის წევრს 1930 წლიდან პენსიონერს ა. არეშიძეს, რომელსაც არც ახლა გაუწყვეტია კავშირი ქარხანასთან. იგი სახალხო სასამართლოს ეხმარება სასამართლო პროცესის ორგანიზაციაში, გამოწერილი აქვს იურიდიული სასაათის ჟურნალ-გაზეთები.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად არჩეულია 9967 სახალხო მსაჯული. აღსანიშნავია, რომ მათგან 45 პროცენტი ქალია. მათ შორის არიან მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, დიასახლისები, პენსიონერები. მათი უმრავლესობა კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. აი ზოგიერთი მათგანი.

გარდაბნის რაიონის სახალხო მსაჯულები მასწავლებელი ს. ოძელაშვილი, ექიმი თ. ქოიავა, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მსაჯული № 1 ოვინის ქარხნის მუშა ნ. ბითარიშვილი, თამბაქოს ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილე მ. ჯანელიძე კეთილსინდისიერად ასრულებენ სახალხო მსაჯულის მოვალეობას. სამსჯავრო სხდომაზე გასვლამდე სწავლობენ საქმეს, ანალიზს უკეთებენ მას და ამოწმებენ რამდენად სწორად არის სამართალში მიცემულნი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი წარდგენილი.

იმის მაგალითიც არის, როდესაც სახალხო მსაჯული არ ასრულებს ამომრჩეველთა ნდობას, დაინტერესებული არ არის სასამართლო საქმიანობით. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენტეხის რაიონში ერთი სახალხო მსაჯული გამოწვეულ იქნა ვადაზე ადრე.

მართალია, სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან ღირსეული და მოწინავე ადამიანები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ საჭიროებენ სათანადო დახმარებას.

**სწორედ ამ მხრივ არის აღსანიშნავი ის საინტერესო მუშაობა სახალხო მსაჯულებთან, რასაც ეწევა საზოგ

გვერდი პირველი

...ეს ქართველთან ღალატ ვმირობენ

ვასილ პეტრიაშვილის უკვდავება

• დაე ყველამ შეიტყოს ეს საზღვაპრო ამგავი •

ბიერებ! რამდენი არიან ისინი — ცნობილნი და უცნობნი, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ფაშისტ დამპყრობლებს. რამდენი არიან, რომლებმაც თავიანთი შესანშნავი სიცოცხლე გასწირეს მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის. დიდი სამამულო ომის გრანდიოზული ბრძოლების თვითეული დღე, თვითეული საათი ასობით და ათასობით გმირს შობდა და აწრთობდა. ყირიმისა და კავკასიის მთებში, ისევე როგორც იმიერპოლარეთის გორაკებზე, ჩვენი მშობლიური შავიზღვისპირეთის ნაპირებზე, ისევე როგორც ბალტიისა და ბარენცის ზღვების ნაპირებზე, უუბანის ნოღებში, ისევე როგორც უკრაინის ველებსა და ბელორუსიის ტყეებში ასეულ ათასობით საბჭოთა პატრიოტმა საგმირო საქმეებით გაუთქვა სახელი სამშობლოს.

მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება მათთან ერთად მევლო მშობლიური შავიზღვისპირეთის საფრონტო გზებით ოდესიდან სევასტოპოლამდე და ნოვოროსიისკამდე, მონაწილეობა მიმეღო ფაშისტ დამპყრობთა განდევნაში ჩვენი მშობლიური მიწის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა ადამიანები, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ცნობილი გახდეს სახელები და გმირობა სამშობლოს ყველა სახელოვანი შვილისა, რომლებმაც სისხლი დაღვარეს, თავი დადეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ამაზე ფიქრით მივუჯდები ხოლმე ყოველთვის ჩემს სამუშაო მაგიდას სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივის სამკითხველო დარბაზში. ამ ფიქრით უკვე მეშვიდე წელია დავეძებ დიდი სამამულო ომის გმირებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს სამხრეთში იბრძოდნენ საძულველ დამპყრობთა წინააღმდეგ.

...ნიკოლოზ წულაია, გრიგოლ ჯაბიევი, აკაკი გელენსანი, სერგი სარიბეკიანი, ვიქტორ სიპინავა, ლოლა ბაძგარაძე, იონა მეზონია, შერიფ ეორდანია, ხაჩიკ ავეტისიანი — ათობით და ასობით სხვები, რომლებმაც უკვდავი გმირობა ჩაიდინეს და დიად საქმეს თავიანთი სიცოცხლე შესწირეს!..

მათ პირველად არქივებში შევხვდი. სამშობლომ ღირსეულად დააფასა მათი სახრძოლო საქმეები და გმირობა. თვითეული მათგანის ამბავი ამაღელვებელი მოთხრობაა, ადამიანის გმირობის წყაროთა მატიანეა. სწორედ მტვრით დაფარული, მაგრამ სარწმუნო სტრიქონები საარქივო დოკუმენტებისა შესაძლებლობას გვაძლევენ ამაღელვებლად გადმოვცეთ ნაამბობი დაღუპულ გმირთა უკვდავი გმირობის ცოცხალი მოწმეებისა, უკვდავყოთ ამ გმირთა კეთილშობილური, ნათელი სახელები.

დროისაბამ გაუვითლებული საარმიო გაზეთების დასტებს. რომ ვფურცლავდი, მათს სტრიქონებს რომ ვკითხულობდი, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ფრონტელი პოეტის ს. კრიჟანოვსკის ლექსებს. მას აწერილი აქვს კავკასიისათვის ბრძოლის გმირთა საქმეები.

აი რას წერდა იგი გაზეთ „ფრონტოვიკში“ 1943 წლის 5 მაისს:

სიმღერად იქცა სახელი
ორი ვაჟკაცი გმირისა —
თვალგამჭრიახი სლიპკოსი,
ლომგული პეტრაშვილისა.

იმავე გაზეთის 1943 წლის 28 ივლისის ნომერში შემხვდა ახალი ლექსი „შენი გზა“. კავკასიის გმირთა დიდების სტრიქონებში გმირობის ჰიმნად გაისმის შემდეგი სიტყვები:

ერთად იბრძოდნენ გმირები
დედა-სამშობლოს შვილები —
ყაზახი, რუსი, ქართველი,
ყველანი მხარგაშლილები.
მტერთან პირისპირ შეხლაში
ის გმირი იყო ნამდვილი,
კაცი ვერ სჯობდა პეტრაშვილს,
იბრძოდა ვით ავთანდილი.

ამ შთაგონებულმა სტრიქონებმა უკვდავ გმირებზე ბევრი ამაღელვებელი ფიქრი ამშალა. ვინ არის იგი — პეტრაშვილი თუ პეტროშვილი? რით გაითქვა სახელი, რომ ლექსებში უმღერიან, რით არის უკვდავი მისი გმირობა. აქედან დაიწყო გმირის ძებნა.

სამწუხაროდ, გვარს გარდა არაფერი არ იყო ცნობილი. ვინ არის იგი: — ამ კითხვას ვაძლევდი ჩემს თავს ძებნის მრავალი დღის მანძილზე. — ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი? ეს, სამწუხაროდ, არ ვიცოდი.

და აი ჩემს წინაშეა 1943 წლის ივლისის გაზეთი. სტატია „გულადი და მამაცი ადამიანები“. ვკითხულობ აბზაცს:

„ჩვენს გულში მარად იცოცხლებს უფროს სერჟანტ პეტრაშვილის უკვდავი სახე. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი დაიჭრა, მაგრამ დასძლია ტკივილი და თავისი სიცოცხლით გზა გაკაფა გამარჯვებისაკენ. პეტრაშვილმა მიაღწია მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტის ამბრაზურას და თავისი სხეულით აეფარა მოწინააღმდგომის ტყვიამფრქვევს. ამის წინ პეტრაშვილმა შესძახა: „წინ, ამხანაგებო!“. მეხრძოლები სწრაფად ეკვეთნენ მტერს. ერთი გერმანელიც არ დარჩენილა ცოცხალი“.

აი თურმე რა ყოფილა! აი ვინ არის იგი — გმირი, მზიური საქართველოს შვილი — რუსი საბჭოთა ჯარისკაცის ალექსანდრე მატროსოვის ძმა, უფროსი სერჟანტი პეტრაშვილი! აი ვის გმირობას ახსომდნენ ხოტბას ფრონტელი პოეტები. მაშასადამე, საჭიროა შემდგომი ძებნა. რით დავიწყო? გადავწყვიტე გადამეთვალიერებინა ორდენოსანთა სიები. მაგრამ დაჯილდოებულთა რიცხვში გმირი ვერ ვიპოვნე. გადავსინჯე არმიის სერჟანტთა შემადგენლობის სიები. არც ამას მოჰყოლია შედეგი. რამდენიმე დღეს ვკითხულობდი მთელი პირადი შემადგენლობის სიებს. დროს არ ვიშურებდი. ნუთუ ისევ წარუმატებლობა მელის? მაგრამ აი, ბოლოს, ამერიკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფის 56-ე არმიის 1942 წლის სიებში ვიპოვნე ორი წითელარმიელი პეტრაშვილი — მიხეილ დავითის-ძე და გიორგი მიხეილის-ძე. გადავთვალიერე ამ საარმიო გაზეთის კომპლექტები. ერთ-ერთ მათგანში აღმოვაჩინე წერილი „ბრძოლაში პირველნი“. იგი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება:

„წითელარმიელი პეტრაშვილი შარად გაულილი ათეულის წინ მიდიოდა. მამაცი მეხრძოლი თავისი მაბალითით ალაფრთოვანებდა დანარჩენ მეხრძოლებს. როცა ასეულმა მტრის სანგრების პირველ ხაზს მიაღწია, წითელარმიელი პეტრაშვილი გაბედულად შეიჭრა მტერის ბოინაკებში და ავტომატის მარჯვე ცეცხლით ათი ფაშისტი მოსცა“.

ის არის თუ არა? სახელი რომ არ არის მოყვანილი. შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ წერილში ლაპარაკი იყო მიხეილზე ან გიორგიზე. მაშასადამე, გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე მათგანი იყო სერჟანტი, სწორედ რომელიმე მათგანმა გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა. მაგრამ სერჟანტთა შემადგენლობის სიებში ასეთი გვარები ვერ ვიპოვნე, ვერ ვიპოვნე ისინი ბრძანებებშიც სერჟანტის წოდების მიკუთვნების შესახებ. მაშინ მივმართე მეზობელი 47-ე არმიის საარქივო ფონდებს. და აი ბოლოს საქმე ჩემ მიერ გადათვალიერებულ მრავალ ასეულ საქმეთაგან. ეს იყო სისხლით დაწერილი მოთხრობა არმიის საბრძოლო გზის შესახებ. სწორედ აქ შევხვდი პირველ სარწმუნო ცნობას სერჟანტ პეტრაშვილის გმირობაზე:

„საშუალო არასოდეს არ დაივიწყებს უფროს სერჟანტ პეტროშვილის უკვდავ გმირობას. ძელმიწური საცეცხლე წერტის იერიშის დროს დაჭრილი, იგი გაბედულად მიხოხავდა წინ, სანამ მტრის ძელმიწური საცეცხლე წერტის ამბრაზურას მიაღწევდა. აქ იგი გაბედულად მივარდა მტრის ტყვიამფრქვევს, თავისი სხეულით აეფარა მის ლულას და ხმამაღლა შესძახა: „წინ, ამხანაგებო!“. მეხრძოლები სწრაფად გაეკაბნენ წინ და ხელუუშგარები დაუარეს ძელმიწურ საცეცხლე წერტს. აქედან ერთი გერმანელიც არ წასულა ცოცხალი. მეხრძოლებმა შური იძიეს პეტროშვილის სიკვდილისათვის“.

ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ გმირი, რომელსაც დავეძებდი, ომობდა და თავისი უკვდავი გმირობა ჩაიდინა მხოლოდ 47-ე არმიაში. იქ და მხოლოდ იქ უნდა ვეძებო იგი. მაგრამ ეს ხომ არმიაა! ეს არის დივიზიები, ბრიგადები, პოლკები, ბატალიონები... გმირის ნამდვილი მისამართი ჯერ არ ვიცოდი, არ ვიცოდი აგრეთვე მისი სახელი, მამის სახელი. შევუდექი 47-ე არმიის ორდენოსანთა სიების შესწავლას, მაგრამ არმიაში დაჯილდოებულთა შორის იგი ვერ ვნახე. და კვლავ, — უკვე მერამდენჯერ, — ვსწავლობ სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის სიებს. შედეგი არა ჩანს. ჩემთან მომუშავე ამხანაგებმა მითხრეს, იქნებ სჯობს თავი დაანებო უნაყოფო ძებნასო. არა, უნდა ვეძებო, — მტკიცედ გადავწყვიტე მე.

მაგრამ იქნებ გმირს სამშობლოში იცნობენ და მისი გმირობის ამბავი იციან? ახლადმოვლენილი კოლუმბის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდე! მაგრამ აი მზიურ თბილისში ვარ და გულისტკივილით ვრწმუნდები, რომ გმირი, მისი გმირობის ამბავი სამშობლოში ჯერ უცნობია. მაშასადამე, საჭიროა კვლავ და კვლავ ძებნა. მეშველებიან ფრონტზე დაღუპულ პეტრიაშვილთა მეგობრები და ნათესავები, თანამოგვარენი. სწორედ მათგან მივიღე ყოფილ ფრონტელთა წერილები და ფოტოსურათები.

ხარბად ვაკვირდები ყოველ სტრიქონს. აი პირველი ჯილდო ბეჯითი ძებნისათვის. მაშასადამე, არქივებში მრავალი თვის განმავლობაში ყოფნისას გადათვალიერებული 900-ზე მეტი საქმიდან ამოღებულ ცნობებს ამაოდ არ ჩაუვლია. მაშასადამე, გმირის ძებნა უნდა გაგრძელდეს! მატროსოვის ქართველმა ძმამ თავისი გმირობა ამერიკაკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფში რომ ჩაიდინა, ეს ჩემთვის დიდი ხანია ცხადი იყო. ნათელი იყო ისიც, რომ გმირი იყო მზიური საქართველოს შვილი — პეტროშვილი, პეტრაშვილი ან პეტრიაშვილი. მაგრამ ვინ არის — სერჟანტი, უფროსი სერჟანტი თუ ოფიცერი? თითქოს უკვე დამთავრებული ძებნა კვლავ უნდა განმეგრძო, და ჩემს გულში უკვე გადაწყვიტე, რომ არავითარ სიძნელეს არ მოვერიდებოდი, თუმცა ვგრძნობდი რომ ეს სიძნელეები ძებნის გზაზე ბევრი, ძალიან ბევრი იქნებოდა.

საქართველოში ჩემთვის საჭირო მასალები და ყოფილ ფრონტელთა, გმირების ნათესავთა და ნაცნობთა მოგონებები რომ შეკრიბე, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არქივში გავიშურე.

ვუბრუნდები 47-ე არმიის ფონდებს. ვიღებ დივიზიის გაზეთებს. რომ არაფერი გვარამრჩეს, ვიწყებ 1941 წლის კომპლექტებიდან. მაგრამ ვერც 1941, ვერც 1942, ვერც 1943 წლის კომპლექტებში ვერაფერს ვერ ვპოულობ. მართალია, გაზეთების ზოგიერთი ნომერი არქივის კომპლექტებში არ აღმოჩნდა. მივდივარ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, იქაც იგივე ამბავია. ხელს ვკიდებ 1944 წლის კომპლექტებს. თითქმის ყველა გაზეთი გადავთვალიერე. დამატებითი არაფერია. ვიღებ 383-ე მსროლელი დივიზიის გაზეთის 1944 წლის კომპლექტებს.

ვსინჯავ მესამე კვარტალის ნომრებს და როგორც იქნა, ვპოულობ. თვალებს არ ვუჯერებ. ცხადია თუ სიზმარი? მღელვარებით ვკითხულობ წერილს იმის შესახებ, თუ როგორ ისმენდნენ ახალგაზრდა მებრძოლები აგიტატორის საუბარს დივიზიის გმირებზე. აი ეს წერილი, რომელიც მთლიანად მომყავს:

— „ჩვენს მეომრებს ყოველთვის ახასიათებდა განსაკუთრებული მამაცობა ბრძოლაში და სიკვდილის არაფრად ჩაგდება, — ამბობს აგიტატორი.

განა როდისმე წაიფლეთა ჩვენს ხსოვნაში სერჟანტ პეტრაშვილის უკვდავი გმირობა?

სერჟანტმა პეტრაშვილმა მიიღო საბრძოლო ბრძანება თავისი ათეულით ჩაეხფო მოწინააღმდგის ძელმიწური საცეცხლე წერტი, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენი ქვეგანაყოფის წინწაწევას. ძელმიწურამდე მცირე მანძილია იყო დარჩენილი, როცა ორი ბუკია მოსვდა პეტრაშვილს ორივე ხელში. სერჟანტმა მაგრად მოკუმა პირი და, მიუხედავად ტკივილისა, კვლავ წინ

სურათებზე: ვასილ პეტრიაშვილი. მხატვარ ვ. პროცენკოს ნახატი.

* * *

ბრძოლელთა ტრანშეებში და ავტომატის მარჯვე ცეცხლით ათი ფაშისტი მოსკო“.

ეს ამბავი ოფიციალურ ანგარიშებში, ბრძანებებში, ბრძოლის ჟურნალებში, ბრიგადებში, ბატალიონებში... ეს ამბავი ბრძოლის ველზე, ბრძოლის ველზე, ბრძოლის ველზე... ეს ამბავი ... ეს ამბავი ... ეს ამბავი

ს. ნ. ჯანაშიას სახელობის პრემიის მინიჭება



პრემია მიენიჭა პროფესორ ა. მ. აფაქიძის ნაშრომს

1947 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის პრემია, რომელსაც ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ნაშრომისათვის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.

პირველად ს. ნ. ჯანაშიას პრემია სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ცნობილ ქართველ ისტორიკოსსა და არქეოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ე. ს. თაყაიშვილს ნაშრომისათვის „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს სამხრეთ პროვინციებში".

1961 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ს. ნ. ჯანაშიას პრემია მიენიჭა ცნობილ ქართველ ფილოლოგს, ისტორიკოსს, თვალსაჩინო ბიზანტოლოგს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ს. გ. ყაუხჩიშვილს უნიკალური ორტომიანი „ქართლის ცხოვრების" მომზადებისა და გამოცემისათვის.

1964 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საპატიო პრემია მიანიჭა კიდევ ერთ მეცნიერს. ს. ნ. ჯანაშიას პრემია მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ა. მ. აფაქიძეს ნაშრომისათვის „ქალაქები და ქალაქური ცხოვრება ძველ საქართველოში", რომელიც გამოსცა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ 1963 წელს.

აკადემიკოს ს. ნ. ჯანაშიას ერთ-ერთი მოწაფის, პროფესორ ა. მ. აფაქიძის პრემირებული კაპიტალური ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, ანტიკური ეპოქის ქალაქების ისტორიის შესწავლაში. ნაშრომში ძირითადად უახლეს არქეოლოგიურ აღმოჩენათა, აგრეთვე კლასიკური და ეროვნული დამწერლობის წყაროების ანალიზის საფუძველზე ახლებურად გაშუქებულია საქართველოს ძველი ისტორიის მთელი რიგი საკითხები. მეცნიერმა პირველმა გამოიკვლია მონოგრაფიულად ძველი საქართველოს ქალაქების წარმოშობის პრობლემები, დაწვრილებით დაახასიათა ქალაქური ცხოვრების განვითარების ძირითადი ქრონოლოგიური ეტაპები ქართლის სამეფოში ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანტიკური ეპოქის საქართველოს დედაქალაქის ძირითადი ნაწილების („უბნების") კვლევას.

პროფესორ ა. მ. აფაქიძის წიგნი ახალი დამჯერებელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრე წარმოიშვა კლასები და შეიქმნა სახელმწიფო ერთეულები, რომ აქ დიდად იყო განვითარებული სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები ჯერ კიდევ ელინურ ეპოქამდე, რასაც თავის შრომებში აღნიშნავდა განსვენებული აკადემიკოსი ს. ნ. ჯანაშია. (საქდესი).

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სტუდენტთა არდადეგები

უმაღლესი სასწავლებლების დერეფნებსა და აუდიტორიებში სიწყნარეა. დამთავრდა საზამთრო საგამოცდო სესიები. ისინი, ვინც მთელი სემესტრის განმავლობაში ბეჯითად სწავლობდა და შეფასებაც შესაფერისი მიიღო, ახლა გულდამშვიდებით მიაშურებენ ჩვენი ქვეყნის დასასვენებელ ადგილებსა და მშობლიურ სოფლებს. დასვენების საუკეთესო საშუალება კი მოგზაურობაა, ბუნების წიაღში გასვლა.

25 იანვარს თბილისის ვაგზლიდან მოსკოვის მიმართულებით გავიდა ტურისტული მატარებელი „მეგობრობა". ჩვენი დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების 400-მდე სტუდენტი იმოგზაურებს ასეთი მარშრუტით: მოსკოვი-ლენინგრადი-რიგა. თვითეული ქალაქში ისინი დარჩებიან ორ-ორ დღეს, დაათვალიერებენ ქალაქების ღირსშესანიშნაობებს, მუზეუმებს, გამოფენებს, დაესწრებიან სპექტაკლებს, შეხვდებიან მოძმე რესპუბლიკების სტუდენტ ახალგაზრდებს.

შინაარსიანად გაატარებენ არდადეგების დღეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. 25 იანვარს უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები — სიმფონიური ორკესტრი, ქორეოგრაფიული ანსამბლი და საეტრადო ჯგუფი — ლიტვის სს რესპუბლიკაში გაემგზავრნენ და კონცერტებს გამართავენ ვილნიუსსა და კაუნასში.

თბილისში დარჩენილი სტუდენტებისათვის მოეწყობა ექსკურსიები ქალაქგარეთ. განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება მათთვის ბაკურიანში გამგზავრება. ინტერესით ელიან უნივერსიტეტელები თავიანთ კოლეგებს მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამზადებენ მათ შესახვედრად სპეციალურ პროგრამას.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტთა არდადეგებისადმი მიძღვნილი შეხვედრები, დასვენების საღამოები უკვე კარგა ხანია დაიწყო. აქ ხომ სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა დროს ამთავრებენ საგამოცდო სესიებს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრი, ვოკალური ჯგუფი და ქორეოგრაფიული ანსამბლი ლატვიაში გაემგზავრება. რიგის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, აგრეთვე ქალაქის მუშა-ახალგაზრდობისათვის ისინი რამდენიმე კონცერტს გამართავენ.

26 იანვარს მოსკოვიდან უნგრეთში გაემგზავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივი. ეს ინსტიტუტის სტუდენტთა მეორე გასვლაა საზღვარგარეთ. შარშან ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრმა, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა და ვოკალისტთა ჯგუფმა დიდი მოწონება დაიმსახურეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

7 თებერვალს უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდება.

არდადეგებზე ბაკურიანში.
ფოტოტიუდი შ. ჩხეტიანისა.

ჩემპიონატები • მატჩები

ჩემპიონატის ფინიში

გუშინ კიევში გაიმართა საკავშირო საკადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი მე-19 ტური. ახალი ჩემპიონი კორჩნოი, რომელმაც ჯერ კიდევ ორი დღით ადრე გაინაღდა პირველობა, განწყობილი იყო მშვიდი ბრძოლისათვის და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბანიუთან. ამრიგად, კორჩნოიმ 19-დან 15 ქულა შეაგროვა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ტალ-ხოლმოვისა და შამკოვიჩ-შტეინის პარტიები. ბრონშტეინს ბორისენკოსთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს. გამარჯვების შემთხვევაში იგი მეორე ადგილს დაიკავებს, ხოლო პარტიის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ტალთან ერთად გაიყოფს მეორე-მესამე ადგილებს.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს კი შედგება ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

სვადიონებზე

ლისაბონში გაიმართა მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში პორტუგალიისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა ანგარიშით 5:1.

კინგსტონში (იამაიკა) შედგა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ იამაიკისა და ნიდერლანდის ვეს-ტ-ინდოეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:0.

წინ ბელგრადის მატჩია

თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელთა განმეორებითი საკონტროლო მატჩი კვლავ თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 26:20 (14:9).

შეხვედრის შემდეგ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მოსკოველთა მწვრთნელმა ა. ევტუშენკომ განაცხადა: ჩემი აზრით „ბურევესტნიკი" ახლა გაცილებით უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ოდესმე. ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში იუგოსლავიელებთან თბილისელები გაიმარჯვებენ.

„ბურევესტნიკის" მწვრთნელმა გ. შარაშიძემ გვაცნობა: 30 იანვრისათვის მოსალოდნელია კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი. ეს იქნება გენერალური რეპეტიცია. 7 თებერვალს ბელგრადში, ხოლო 13 თებერვალს თბილისში ზაგრების „მედვეშჩაკისა" და „ბურევესტნიკის" პაექრობა გაარკვევს, რომელი მათგანი განაგრძობს თასისათვის ბრძოლას.

ქართველი ხელბურთელები მოსკოვში 3 თებერვალს გაემგზავრებიან, ხოლო ერთი დღის შემდეგ ბელგრადისაკენ აიღებენ კურსს.

ნ. ფოფხაძე.



ვინ მოიპოვებს თასს?

წყალბურთელთა უძლიერესი კოლექტივები ემზადებიან ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებისათვის. წელს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი, მათ შორის სსრ კავშირის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი.

ფინალში გასვლისათვის მოეწყობა წინასწარი შეხვედრები. ქვეჯგუფში, სადაც ჩარიცხულია ცსკა-ს გუნდი, გამოდიან აგრეთვე ბულგარეთის, ჰოლანდიისა და უნგრეთის გუნდები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

27 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დიდოსტატის მარკვენა (მე-8 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — დევიძეების ოჯახი (მე-19 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (მე-17 აბონ. მე-6 წარმოდგენა),

ტელევიზია

27 იანვარი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „თოგლის ქალაქში", 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქაღალდის ფრანის ამბავი", 19.00 — განცხადებები, 19.05 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 20.05 — კინონარკვევი „ეკრანიკესები" (ქართული ვარიანტი), 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — საესტრადო კონცერტი, 21.05 — მუსიკალური ფილმი „ჩერიომუშკები", 22.35 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

27 იანვარს საღამოს 6 საათზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის პრ., № 29, კაბინეტი № 7) პროპაგანდისტებს, თეორიული სემინარების ხელმძღვანელებისა და ეკონომიური ცოდნის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ჩატარდება კონსულტაცია თემაზე: **„სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეკონომიურ კანონზომიერებათა შესახებ".** კონსულტანტი — ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რ. წულუკიძე.

რედაქტორი
დ. მჯედლიშვილი.

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი



საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1965 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში.

ტირაჟში გათამაშდა 140 ნივთმოგება და 112.360 ფულადი მოგება 187.500 მანეთი თანხისა. მოგება ხვდა 1965 წლის პირველი გამოშვების ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
00010	121*)	20 მანეთი	—
00012	276*)	ფოტოაპარატი „ზორკი"	43—00
00029	418*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220—00
00038	033*)	მაცივარი	200—00
00054	443*)	პიანინო	526—50
00080	173*)	მაცივარი	200—00
00084	486*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
00105	467*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220—00
00109	422*)	მაცივარი	200—00
00115	109*)	100 მანეთი	—
00139	326*)	მაცივარი	200—00
00154	209*)	20 მანეთი	—
00187	448*)	15 მანეთი	—
00198	066*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
00200	074*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
00203	115*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00224	314*)	ფოტოაპარატი „ზორკი"	43—00
00225	050*)	200 მანეთი	—
00234	226*)	20 მანეთი	—
00238	051*)	25 მანეთი	—
00248	173*)	პიანინო	526—50
00255	412*)	100 მანეთი	—
00280	491*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
00281	006*)	მაცივარი	200—00
00293	401*)	ელექტროსამართებელი	22—50
00318	188*)	ფოტოაპარატი „ზორკი"	43—00
00319	414*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00353	056*)	პიანინო	526—50
00357	410*)	პიანინო	526—50
00360	263*)	მაცივარი	200—00
00362	422*)	20 მანეთი	—
00367	095*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
00372	229*)	მაცივარი	200—00
00380	411*)	20 მანეთი	—
00408	174*)	მაცივარი	200—00
00426	110*)	15 მანეთი	—
00439	167*)	პიანინო	526—50
00451	1—500	10 მანეთი	—
00457	346*)	25 მანეთი	—
00460	206*)	ავტომანქანა „ვოლგა"	5513—25
00472	465*)	ელექტროსამართებელი	22—50
00476	178*)	15 მანეთი	—
00502	265*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00507	413*)	15 მანეთი	—
00513	100*)	30 მანეთი	—
00520	384*)	500 მანეთი	—
00527	469*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
00540	422*)	15 მანეთი	—
00548	463*)	20 მანეთი	—
00556	006*)	30 მანეთი	—
00569	467*)	300 მანეთი	—
00588	313*)	პიანინო	526—50
00601	477*)	20 მანეთი	—
00630	268*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00631	188*)	25 მანეთი	—
00670	169*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
00690	178*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
00700	089*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
00726	331*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00742	266*)	15 მანეთი	—
00764	137*)	15 მანეთი	—
00795	078*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00802	414*)	მაცივარი	200—00
00827	346*)	პიანინო	526—50
00843	469*)	20 მანეთი	—
00855	414*)	100 მანეთი	—
00952	095*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	3461—25
00983	098*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00988	337*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
00994	123*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01002	008*)	ელექტროსამართებელი	22—50
01017	311*)	300 მანეთი	—
01021	492*)	ელექტროსამართებელი	22—50
01028	277*)	პიანინო	526—50
01039	265*)	პიანინო	526—50
01049	480*)	ელექტროსამართებელი	22—50
01082	127*)	100 მანეთი	—
01083	462*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
01093	123*)	20 მანეთი	—
01104	461*)	15 მანეთი	—
01119	081*)	30 მანეთი	—
01128	138*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220—00
01134	181*)	20 მანეთი	—
01158	024*)	20 მანეთი	—
01161	255*)	25 მანეთი	—
01169	210*)	100 მანეთი	—
01171	208*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01177	246*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220—00
01179	163*)	ელექტროსამართებელი	22—50
01180	345*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
01209	453*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01210	299*)	პიანინო	526—50
01212	187*)	100 მანეთი	—
01221	112*)	200 მანეთი	—
01228	055*)	ელექტროსამართებელი	22—50
01233	497*)	300 მანეთი	—
01243	244*)	პიანინო	526—50
01255	113*)	20 მანეთი	—
01259	117*)	25 მანეთი	—
01266	277*)	20 მანეთი	—
01277	257*)	100 მანეთი	—
01298	081*)	პიანინო	526—50
01308	048*)	პიანინო	526—50
01314	1—500	5 მანეთი	—
01316	421*)	20 მანეთი	—
01340	389*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01349	357*)	20 მანეთი	—
01353	090*)	300 მანეთი	—
01363	079*)	100 მანეთი	—
01369	324*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01370	312*)	პიანინო	526—50
01372	183*)	15 მანეთი	—
01374	364*)	ფოტოაპარატი „ზორკი"	43—00
01399	455*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
01424	310*)	25 მანეთი	—
01426	127*)	პიანინო	526—50
01447	305*)	მაცივარი	200—00
01454	362*)	ელექტროსამართებელი	22—50
01458	1—500	5 მანეთი	—
01473	466*)	30 მანეთი	—
01485	240*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01489	299*)	20 მანეთი	—
01507	312*)	ელექტროსამართებელი	22—50
01508	075*)	200 მანეთი	—
01528	195*)	მაცივარი	200—00
01540	269*)	მაცივარი	200—00
01544	396*)	ელექტროსამართებელი	22—50
01576	033*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01603	243*)	30 მანეთი	—
01604	406*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01634	241*)	ელექტროსამართებელი	22—50
01638	253*)	20 მანეთი	—
01639	100*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01645	356*)	პიანინო	526—50
01654	360*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01662	006*)	20 მანეთი	—
01667	035*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01675	294*)	20 მანეთი	—
01693	206*)	30 მანეთი	—
01700	404*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01704	081*)	20 მანეთი	—
01716	361*)	მაცივარი	200—00
01719	448*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01721	111*)	20 მანეთი	—
01727	033*)	ელექტროსამართებელი	22—50
01732	392*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01745	471*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	3461—25
01762	494*)	30 მანეთი	—
01771	075*)	20 მანეთი	—
01787	359*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
01798	331*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01826	288*)	მაცივარი	200—00
01848	467*)	100 მანეთი	—
01861	469*)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობისათვის ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი"	150—00
01890	045*)	მაცივარი	200—00
01913	347*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
01925	479*)	ელექტროსამართებელი	22—50
01928	36ბ*)	20 მანეთი	—
01938	309*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
01952	482*)	20 მანეთი	—
01955	375*)	მაცივარი	200—00
01965	373*)	პიანინო	526—50
01971	306*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01979	432*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
01986	121*)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობისათვის ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი"	150—00
01994	096*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
02000	329*)	25 მანეთი	—
02020	386*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
02032	026*)	20 მანეთი	—
02039	062*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
02048	026*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	3461—25
02072	033*)	მაცივარი	200—00
02084	036*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	2220—00
02093	213*)	25 მანეთი	—
02101	188*)	მაცივარი	200—00
02107	429*)	ელექტროსამართებელი	22—50
02109	334*)	ელექტროსამართებელი	22—50
02111	347*)	მაცივარი	200—00
02116	271*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02120	018*)	მაცივარი	200—00
02121	482*)	25 მანეთი	—
02137	197*)	200 მანეთი	—
02140	335*)	ფოტოაპარატი „ზორკი"	43—00
02161	137*)	20 მანეთი	—
02178	051*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02181	457*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
02191	461*)	პიანინო	526—50
02192	042*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02205	391*)	ხელის საკერავი მანქანა	50—00
02231	387*)	მაცივარი	200—00
02239	280*)	20 მანეთი	—
02247	398*)	20 მანეთი	—
02268	433*)	30 მანეთი	—
02275	041*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
02286	175*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02309	016*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
02310	417*)	ელექტროსამართებელი	22—50
02329	133*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
02330	218*)	25 მანეთი	—
02350	289*)	მაცივარი	200—00
02351	1—500	10 მანეთი	—
02362	164*)	200 მანეთი	—
02381	461*)	100 მანეთი	—
02382	385*)	მაცივარი	200—00
02388	347*)	20 მანეთი	—
02393	221*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
02395	335*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02403	366*)	პიანინო	526—50
02411	311*)	მამაკაცის მაჯის საათი	28—00
02423	095*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	3461—25
02424	339*)	ტელევიზორი „რეკორდი"	210—00
02444	409*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	111—40
02445	077*)	15 მანეთი	—
02454	465*)	ელექტროსამართებელი	22—50
02456	482*)	20 მანეთი	—
02474	018*)	30 მანეთი	—
02475	095*)	30 მანეთი	—
02478	127*)	ელექტროსამართებელი	22—50
02479	242*)	300 მანეთი	—
02484	481*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი"	3461—25
02485	419*)	მაცივარი	200—00
02488	130*)	ელექტროსამართებელი	22—50
02489	407*)	ხალიჩა შალნარევი ზომით 1×1,85 მ.	16—00
02493	294*)	პიანინო	526—50
02495	367*)	მაცივარი	200—00

შენიშვნა: *) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1—500 ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს სსრ ყველა შემნახველი სალარო და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები, მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელს და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილში ელექტროქსელის ძაბვა ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარმოდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1966 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან. ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ფულადი მოგებისა და მოგებული ნივთების გაცემა.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შემამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება და ფული მოგებულ ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის კალინინის სახელობის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოს და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთების გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება რესპუბლიკის ყველა დიდი ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

კომისიის თავმჯდომარე
თბილისის მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
შ. ქუტიძე

თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი
ნ. დემურიშვილი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
მ. ჯანგიძე

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეებს — 9-93-03 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46 10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—8-22-89, მრეწველობის—8-20 48, სოფლის მეურნეობის—8-32-46 საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-55-01, ინფორმაციის — 8-16 90, უცხოეთის 8-18-55, წერილების—9-73-24, ილუსტრაციის—8-19-99, განცხადებების—9-94-42.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 00531

საქ. კპ ცკ-ს გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.